

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ჯბჯ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წელი 31 დეკემბერი

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ზოგადი ინფორმაცია.....	6
3. ძირითადი საშუალებები.....	9
4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები.....	10
5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	10
6. მარაგები.....	10
7. კაპიტალი.....	10
8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	10
9. ამონაგები.....	11
გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	11
მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.....	11
ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	11

შპს „გბგ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	69,480	8,975
არამატერიალური აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		69,480	8,975
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	458,999	705,074
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	4,591,461	2,352,481
საგადასახადო აქტივი		148,790	-
მარაგები	6	6,119,144	2,708,440
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,318,394	5,765,995
მთლიანი აქტივები		11,387,875	5,774,970
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		4,941,328	1,320,411
გადახდილი დივიდენდი		-	(128,171)
სულ კაპიტალი	7	4,941,328	1,192,241
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება		-	237,421
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	4,443,302	4,345,309
გრძელვადიანი ვალდებულებები		2,003,244	-
სულ ვალდებულებები		6,446,546	4,582,730
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		11,387,875	5,774,970



მომზადებულია საქონლის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

შპს „გბგ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	9	6,671,634	3,291,195
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(2,618,282)	(1,839,151)
საერთო მოგება		4,053,352	1,452,044
დასაქმებულთა ანაზღაურება		(173,260)	(122,633)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(91,777)	(23,553)
სხვა ხარჯები		(11,860)	(45)
იჯარის ხარჯი		(12,055)	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,518)	(6)
სულ საოპერაციო ხარჯები		(291,471)	(146,236)
საოპერაციო მოგება		3,761,882	1,305,808
არასაოპერაციო შემოსავალი		77,678	38,671
არასაოპერაციო ხარჯები		(60,379)	(8,188)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(30,094)	6,738
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		3,749,088	1,343,029
მოგების გადასახადი		-	(22,618)
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		3,749,088	1,320,411



მომზადებულია სრულ ასეულის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

შპს „ჯბჯ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	-	-	-
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,320,411	1,320,411
გადახდილი დივიდენდები		(128,171)	(128,171)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	-	1,192,241	1,192,241
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	-	1,192,241	1,192,241
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,749,088	3,749,088
გადახდილი დივიდენდები		-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	-	4,941,328	4,941,328

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს.



დირექტორი

შპს „ჯბჯ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაფუძნდა 2019 წლის 18 მარტს და დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სადენტიფიკაციო ნომრით: 443867380. კომპანიის 100 %-იანი წილის მფლობელები არიან : კახაბერ ქეზურია (პ/ნ 01030025888) 33.4%, გიორგი ლაბაძე (პ/ნ 01030020443) - 33.3%, გიორგი ვაშაგაშვილი (პ/ნ 01020009198) - 33.3%. დირექტორი - მიხეილ დუგლაძე (პ/ნ 57001007168).

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის: მაღალი ძაბვის სატრანსფორმატორო პუნქტების/ქვესადგურების პროექტირება, მონტაჟი, მშენებლობა. უცხოელი პარტნიორებისგან ტრანსფორმატორების იმპორტირება საქართველოში და მონტაჟი. ასევე მაღალი ძაბვის დანადგარების, კერძოდ, კომპლექტური გამანაწილებელი მოწყობილობების მშენებლობა-მონტაჟი. აღნიშნულ მომსახურებას კომპანია ახორციელებს საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, საქართველოს ტერიტორიაზე. გარდა აღნიშნული საქმიანობისა, კომპანია ახორციელებს საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას სოფ. დიდომი, ანდრონიკაშვილის ქუჩა #1-ში. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არის 23. კომპანიის იურიდიული მისმართია : ქ. ხაშური, ყიფიანის ქ. #2. ოფისი მდებარეობს ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 37/39.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღიგნების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (IFRS for SME) მიხედვით.

კომპანიამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შედავათი, რაც ეხება ფულადი ნაკადების ნებაყოფლობით წარდგენას, რის გამოც არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესადარის ინფორმაციას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

შპს „ჯბჯ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანია ფინანსური ანგარიშგებას წარადგენს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები.

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3.2766	4.0233

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი ვალდებულებები გააჩნია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5
სატრანსპორტო საშუალებები	10

შპს „ჯბჯ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება მოგებაში ან ზარალში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ზარაჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამას. არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ეკონომიკური სასარგებლო მომსახურების 10 წლის ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღირიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს ბიუჯეტში გადასახდელ გადასახადებსა (დღგ, საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, ქონების გადასახადი) და გადახდილ თანხებს შორის სხვაობას.

შპს „ჯბჯ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოღინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება:

	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2018 წლის წმინდა საბალანსო ღირებულება	-	-	-	-
შემოსვლა	8,981	-	-	-
გადაფასება	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	8,981	-	-	8,981
პერიოდის ცვეთა	(6)	-	-	(6)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(6)	-	-	(6)
2019 წლის წმინდა საბალანსო ღირებულება	8,975	-	-	8,975
შემოსვლა	25,963	11,311	25,749	63,023
გადაფასება	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	34,938	11,311	25,749	71,998
პერიოდის ცვეთა	(1,887)	(116)	(515)	(2,518)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	(1,893)	(116)	(515)	(2,518)
2020 წლის წმინდა საბალანსო ღირებულება	33,045	11,195	25,234	69,480

შპს „ჯბჯ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	2020
ნაღდი ფული	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	458,999
სულ	458,999

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2020
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	61,516
მოთხოვნა პარტნიორზე გაცემული სესხებიდან	1,905,398
მისაღები პროცენტები	7,048
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2,617,499
სულ	4,591,461

6. მარაგები

	2020
სასაქონლო მატერიალური მარაგები	4,056,701
დაუმთავრებელი წარმოება	2,062,444
სულ	6,119,144

7. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ აქვს. 2020 წლის მთლიანი სრული შემოსავალია 3,749,088 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დივიდენდი არ გაცემულა.

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქნილი ვალდებულებები	2,417,893
მიღებული ავანსები	2,007,126
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18,283
სულ	4,443,302

შპს „ჯბჯ“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

9. ამონაგები

კომპანიის ამონაგები სრულად შეადგენს ამონაგებს მომსახურების გაწევიდან, რომელიც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია 6,671,634 ლარით.

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	18,000
კომუნალური ხარჯი	3,923
ბანკის მომსახურების საკომისიო	10,811
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	59,043
სულ	91,777

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება 2020 წელს შეადგენს 80,179,62 ლარს. კომპანიას დაკავშირებულ მხარეები არ ყავს, შესაბამისად წარმოდგენილი არ არის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები.

მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს არ მომხდარა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს.